მაამულის

საერთო მფლობელობაზე

თხუზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ფ. ჯიჯინაძისაგან

თფილისი, 1881

გრ. ჩარკვიანის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა.

მაქულის

საერთო მფლობელობაზედ.

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

38279



გამოცემული

ზაქარია ჭიჭინაძისაგან.

თბილისი.
ეკვთიმე სულაძის სტამბა
1881

Дозволено Цѣнзурою Тифлисъ. 26 Августъ 1881 г.

მამულების საერთო მფლობელობაზედ.

კაცობრიობის ცხოვრებამ და წყობილებამ იმავ დასაწყისითვე ისე აუქცია ნამდვილს და სწორე გზას, რომ რამდენიც ხანი გავიდა, იმდენი უთანასწორობა შეძლებასა და წოდებაში უფრო და უფრო დამკვიდრდა. ჯერ დამყარდა ოჯახის მეუფროსობა; ოჯახის მეუფროსობა გადიქცა გვარის ანუ მოდგმის მეუფროსობათ; გვარის მეუფროსობა გადიქცა თემის მეუფროსობად; თემის მეუფროსობა--ერისთავობათ, ერისთავი მამასახლისად,--რომელიც უდრიდა დღევანდელს რესპუბლიკის პრეზიდენტს,—მამასახლისი მეფედ, მეფე—ხელმწიფედ. ესევე დაემართა ქონებას. ჯერ ყველა კაცი სარგებლობდა განუსაზღვრელად სადაც ჰსურდა ყოველივე ბუნების მომნიჭულობით; მერე გვართა და თემთ, ვისაც უფრო მეტი ძალა ეჭირა ხელში, დაიმკვიდრეს სხვა-და-სხვა საუკეთესო ადგილები და თავიანთ მეტი იქ აღარავინ გაატარეს. მერე ამ გვარსა და თემში დაიწყეს თვითვეულს სულ ზედ ამ ადგილების განაწილება და დროებით, ახალ სათემოთ ანუ საოჯახოთ გაყოფამდის, დასაკუთრება

მიწისა; მერმე დაიწყეს ამ დასაკუთრებული სათემო ანუ საოჯახო მიწებისა სამკვიდროთ დასაკუთრება და აქციეს საშვილის-შვილო ქონებათ; ბოლოს გაჩნდა ყიდვა და ყიდვით ზრდა და დასაკუთრება მამულებისა და ამით დაგვირგვინდა მამულების დაპყრობა და დასაკუთრება. რაც დაემართა მამულებს, ის მოუვიდა სხვა რიგ ქონებასაც.

მკითხველო, შენ დაჩვეული ხარ ზღაპრებსა, არაკებსა და ანდაზებს, და იმიტომ ვერც ინელებ იმ გვარ ნაწერებს, რასაც კი აქვს სახეში შენი სარგებლობა, შენი გონების გაღსნა, შენი თვალის ახელა. შენ არ კითხულობ იმასა, რასაც მცირეც არის ჩაფიქრება უნდა, და კი არ იცი, რომ მხოლოდ ის არის კაცის წინ წამყენებელი და წარმმატებელი, რაც აფიქრებს კაცსა და ამოძრავებინებს გონებას. ამის გამო გირჩევ, არ მოერიდო მძიმე წასაკითხებს, რომელთაც შეუძლიანთ კაცის გონების ჩაფიქრება. იქ უფრო ხშირად შეხვდები იმისთანა ნაწერებს, რომელთაც უმთავრეს საგნათ მხოლოდ ისა აქვთ, რომ შენ ჩაგაფიქრონ შენს გარემოებაში, შენ გაგაცნონ შენი თავი და ის ვითარებანი, რომელნიც გარტყიან გარს, გიამბობენ გონების და სარჩოს შეძენის ძალას. ტყუილათ გგონია, რომ ყველა ამგვარი ნაწერები იყვნენ გაუგებარნი. მართალია, ზღაპარივით ადვილი წასაკითხნი ისინი არ არიან, მაგრამ ხშირად

ძალიან ადვილი გასაგონნიარიან. იმათ უნდათ მხოლოდ მცირე გულის-ხმა და გულის-ყურის დადება; მას უკან ისინი თვით მიგიზიდავენ და სიამოვნებით წაგეკითხებიან, რაკი ერთი გაცნობებენ თავს, რომ ლაპარაკობენ იმას, რასაც შენცა ჰგრძნობ, თუმცა ვერ მოგისაზრავს და ვერ გიგულის-ხმია.

წაიკითხე ეგრეთვე გულ-დადებით ეს ნაწერიც, რომლიდგანაც დაინახავ საითა გცემს ცხოვრების ტალღა და საით უნდა უქცევდე გზას.

მაშ დაგვიგდეთ კარგათ ყური. ჩვენ დავდექით თავში იმაზედ: რა მიმართულებაც მიიღო პირველადვე კაცობრიობის სწორე გზის აქცევამ.

ვნახოთ ახლა რა წარმოსდგება აქ ამ გზის აქცევიდამ.

აქედამ წარმოსდგა ისა, რომ რამდენიც პირადი უფლება გაიზარდა და შევიდა ზოგიერთა წოდებასა და ხარისხში, იმდენი უფლება სხვებისა დაეცა, და შეიქნა მომეტებული ნაწილი კაცობრიობისა შეიქნა უძლური, რამდენიც მომეტებული ნაწილი კაცობრიობისა შეიქნა უძლური, იმდენი უფლება და უფროსობა მინიჭებული კაცი შეიქნა ძლიერი და მბძანებელი და მიაღწია იქამდის, რომ თითო-ოროლა კაცთა, მომეტებული ნაწილი გონებით სრულიად უძლურთ, უჭირავთ მილიონების ქონება და სიკვდილ-სიცოცხლე ხელთა და ზოგჯერ მილიონი კაცის სიცო-

ცხლეს შესწირვენ თავიანთს ერთ უბრალო გროშის უფასურს სურვილსა, და ეს მილიონებიც მორჩილებით სწირამენ ამ სურვილს თავსა.

ეს ითქვა საზოგადოთ უფლებასა და პირად უფლებაზედ. ესევე ითქმის ქონების შესახებ. რა წარმოსდგა იქიდამ, რომ გაჩნდა მამულებისა და ქონების დასაკუთრება და საშვილის-შვილოთ დამკვიდრება?

წარმოსდგა პირველათ ისა, რომ რომელიმე ოჯახი არა მრავლობდა და მოსდევდა თითო ღერს ანუ ორ ღერს ოჯახზედ და ამათ ეჭირათ პირველადვე დაჭერილი დიდი მამულები, როდესაც რომ ზოგიერთა ოჯახობა მრავლობდა მეტათა. და ამ სიმრავლისა გამო თან-და-თან უფრო წვრილ-წვრილათ იყოფოდა ამათი მამულები და მრავალ ჯერ ისე გამრავლებულან, რომ სრულიად აღარ დარჩენილა გასანაწილებელი მამული. აი, წარმოიდგინე, მკითხველო, შემდეგი მაგალითი: ვსთქვათ პეტრე ხარებაშვილს აქვს ასი დღის მიწა და ჰყავს ხუთი ვაჟი. ამ ხუთმა ვაჟმა, შემდეგ პეტრეს სიკვდილისა, გაიყო ასი დღის მიწა. თითოს ერგო ოც-ოცი დღის მიწა. უმცროსს ძმას ჰყავს მარტო ერთი ვაჟი, დანაშთენს ოთხ ძმას ჰყავს თითოს ხუთი ვაჟი. უმცროსის ვაჟს რჩება ისევ ოცი დღის მიწა, დანაშთენი ძმის ვაჟებმა კი უნდა გაიყონ თავიანთ მამების ოც-ოცი დღის მიწა და თითოს ერგება ოთხ-ოთხი დღის მიწა. ახ-

ლა ამ თითო ხუთ ძმას ეყოლა, ვსთქვათ, ოთხ-ოთ-
ხი ვაჟი და იმ დედის—ერთას ისევ ერთი. იქ რჩება
ერთზედ ისევ ოცი დღის მიწა. აქ უნდა გაიყონ თი-
თომ ოთხი დღის მიწაცა და რჩება თითოს თითო
დღის მიწა. ამათ თითო თითოს მიეცა კიდევ ოთხ-
ოთხი ვაჟი და თითო ოთხმა ძმამ უნდა გაიყოს თი-
თო დღის მიწა ოთხათა. რასაკვირველია, ამათ ეს
არ ეყოფათ და უნდა მიჰმართონ მაშინ იმ ბედნი-
ერსა, რომელიც ოჯახში თითოზედ მეტი არა მრა-
ვლობს, და სთხოვონ მიწა. ის ჰხედავს ამათს გაჭივ-
რებას და აძლევს მიწებს მოსახნავათ იმათა, ვინც
უფრო მეტს ასიამოვნებს და თავს მოაწონებს.
მაშინ დანამთენები რჩებიან თითო მარტო ნა-
ხევარ დღიურის ამარა. ეს არ აძლევს ამათ საკ-
მაო საცხოვრებლებს, შიმშილი და წვრილ-შვილი
აწუხებს ამათა. მაშინ, რომ დროებითაც არის
გამოჰკვებონ ამათ ცოლ-შვილი, იმეტებენ, ამ
უკანასკნელს მამულს გასაყიდათაც. ვინ არი აქ
მყიდველი? არის იგივე ბედნიერი კაცი, რომელიც
ოჯახების გაუმრავლესობის გამო რჩება ოცი დღის
პატრონი. ამას იმდენი აქვს, რომ თითონაცა ჰყოფ-
ნის და სხვებსაც აძლევს საიჯაროთ. ამ იჯარის მო-
გებიდამ ის ჰყიდულობს წვრილ-წვრილათ დანამთენს
განაყოფების ოთხმოცი დღიურსაც და ხდება ასი
დღიურის პატრონი: სხვები რჩებიან უმამულოთ, უ-

ბინადრობთ და რჩებიან სრულს მონათ ამ დიდი მამულის პატრონი კაცისა, რომელმაც მიაღწია ამ ბედნიერებამდის მხოლოდ იმითი, რომ კაცნი არ ჩააფიქრდნენ თავის მომავალს, იხარბეს და დაუწყეს მამულებს დასაკუდრება და საშვილის-შვილოთ დამკვიდრება.

ეს ერთი მაგალითი წარმოგვიდგენს დღევანდელი უსწორობისა და უწესოების დასაწყისს: ასე იყო პირველათ, როდესაც მიიღო დასაწყისი დღევანდელმა ცხოვრებამ და ამას მოსდევს დღევანდელი ცხოვრებაც, და რაც ხანი გადის იმდენი სარჩო, მამულები და ქონება გადის ხალხის ხელიდამ და ტრიალდება თითო ოროლა კაცის ხელში. რაკი სიმდიდრე შედის სრულს თავის ძალაში, მაშინ ჩნდება ბრძოლა ქონების პატრონთა შორისაც და ძლევა, რალა თქმა უნდა, რჩება კიდევ დიდი ქონების პატრონს და დანაშთენი შემძლე კაცის სარჩოც თან-და-თან გადადის უფრო და უფრო ამათზე შემძლეთა ხელში და ღარიბი ხალხის რიცხვს თან და თან ემატება, და თითო ოროლა მდიდარნი უფრო და უფრო მდიდრდებიან. აი რას ამბობს ერთი იტალიელი მეცნიერი, ორტენსი, დიდათ გონიერი მცოდნე იმ კანონებისა, რომელნიც აწარმოებენ კაცთა ქონების მოძრაობასა: „რამდენიც რომელიმე კაცი უფრო და უფრო მდი-

დრდება, იმდენი სხვები უფრო ღარიბდებიან, ერთის სიმდიდრე აჩენს სხვების სიღარიბეს.“

რაკი უფლებითი და ქონებითი ძალა გაუშვა ხალხმა ხელიდამ, რაღა თქმა უნდა, რომ ვინც ეს ძალა ივდო ხელთა, დასდვეს კანონებიც და წყობილებანიც ისეთნი, რომ ხალხი ნიადაგ უხმო და ღარიბი ყოფილიყო. რაკი ხალხი არის უხმო და ღარიბი, მაშინ ესენი სარგებლობენ ამ ხალხითა და როგორც უნდათ ისე იხმარებენ. პირველათ ამ ძლიერთ და შემძლე კაცთ გააჩინეს მონება და ჰყვანდათ მონებათ გაჭირვებული და უხმო ხალხი. გაიძრა ხალხი, რაკი მეტი გაჭირვება ნახეს, გადააგდეს მომეტებულ ნაწილს ადგილებში მონობა, მაგრამ, რაკი ხალხს ერთხელ და ერთხელ დაკარგული ჰქონდა გზა და კვალი თავის ნამდვილი ძალისა და სარგებლობისა, მიანდვეს უფლება ისევ იმავე ქონების და უფლების პატრონთ კაცთა, რომელთაც უჩვენეს ხალხს, ვითომც მონება გადავაგდეთო, და მონების მაგივრათ გააჩინეს ბატონ-ყმობა, რომელიც თუ უარესი არ იყო, მონებაზედ, უკეთესი მაინც-და-მაინც არ იყო. ევროპის ხალხებმა, რომელნიც არიან კაცობრიობის ყოველი გონებით მოძრაობის თავსა, იგრძნეს ამისი სიმძიმეც, აღელვდენ, გაიძრენ და მოშალეს ბატონ-ყმობა, მაგრამ რაკი უფლება არ დაიჭირა თითონ ამ ხალხმა ანუ ვერ მოახერხა ამ უფლების მოხმარება,

მისცა ხელთა უფლება ისევ ძველს თავის გამგეებს, რომელთაც აღიარეს სრული პირადი თავისუფლება კაცთა, მისცეს ძალა შეძლებას, აღიარეს ბატონობა ქონებისა, ანუ უკეთა ვსთქვათ კაპიტალისა. ქონების დასაცველათ დასდეს მკვიდრი კანონები. აქ იწყო სრული თავის ძალის გამოჩენა ქონებამ. რასაკვირველია, რაკი ხალხმა არ დაიჭირა ძალა ხელთა, არ დასდო ისეთი წესი, რომ ერთმანეთზედ ამაღლება და ერთმანეთის გამორჩენა შეუძლებელი ყოფილიყო, შემძლე და უფლების მქონე კაცთ ისარგებლეს ამითი და დასდვეს ისეთი წესი, რომელთაც გადააჭარბეს მონობასაც და ბატონყმობასაც: ეს წესი არის ბატონობა ქონებისა, ანუ უკეთა ვსთქვათ კაპიტალისა. ქონება და შეძლება დატრიალდა ზოგიერთების ხელში. მოშეტებული ნაწილი ხალხისა დარჩა უსახსროთ, ულონის-ძიებოთ, არა აქვს საკუთარი სამუშაო. ამის გამო. უნდა მიჰმართოს იმან საშუშაოთ შეძლების მქონე კაცთა. შეძლების მქონე კაცთ უჭირს მუშა ხალხი, მაგრამ იმდენი კი არა, რამდენიც მთხოვნელი მუშა ხელია. ამასთან ამ შეძლების კაცთა გაიჩინეს მაშინაცა, რომელიც თითონ აკეთებს ასი და ათასი კაცის საქმესა; მაშასადამე ეს აიყვანს მხოლოდ იმდენსა, რამდენიც ამას უჭირს: სხვები რჩებიან უმუშაოთ, ულუკმო-პურეოთ. რაკი არიან ამ გაჭივრებაში, რომ, თუ მდიდარმა არ მის-

ცა სამუშაო, უნდა გაწყდნენ შიმშილითა, მაშინ ესენი თან-და-თან იკლებენ სამუშაო ფასსა, ოღონდ მე ამიყვანოს მდიდარმაო, და მდიდარი მართლაც და იმას იყვანს, ვინც უფრო ნაკლებს აიღებს და ხან-გრძლივ იმუშავებს,—ვთქვათ დღეში ათი საათის მაგიერათ თუთხმეტს საათს რაღა თქმა უნდა, ეს გაჭირვებულნიც, ისევ მთლათ შიმშილს, ჰრჩეობენ იმ-დენისა მაინც აღებას, რომ ნახევარზედ მაინც ჰქონდეს საჭმელი. დანაშთენები დარჩენ გულ-ხელ დაკრეფილნი და თავისის ცოლ-შვილით მშიერ მწყურვალნი უბინაოდ და ტიტველ-შიშველნი. ახლა გავსინჯოთ, რა უფრო ცუდი იყო ხალხისთვის: მონება, ბატონ-ყმობა, თუ უფლება ქონებისა ანუ უკეთა ვსთქვათ კაპიტალისა. მონა უაჭველათ უნდა შეენახა თავის პატრონს მაძღარი და ჩაცმულ-დახურული, რომ გამოსდგომოდა იმას და შესძლებოდა იმის სამსახური და მტრის მოგერება; ეგრეთვე ბატონს უნდა მიეცა თავისი ყმისთვის საკმაო მამული, რომ იმას შესძლებოდა თავისა და თავის ცოლ-შვილის შენახვა და გამრავლება, რომ შესძლებოდათ ამათ თავის ბატონის სამსახური და მტრის მოგერება. მაგრამ, რას ვხედავთ ჩვენ მაშინ, როდესაც ძალა მიეცა და დაფუძნდა კანონზედ უფლება შეძლებისა ანუ კაპიტალისა? იმისთვის სულ ერთია: ერთი მოკვდება, მეორე დარჩება და იმას იმსახურებს; გაწყდება ხალხი და იმას აქვს მაშინები, რო-

მელნიც უზამენ კაცების მაგივრობას, და მუშები იმ-
დენი მაინც დარჩებიან, რომ, რაც უჭირს ამათ გაა-
კეთებინოს. ფულისა და სხვა შეძლების პატრონის-
თვის პირველი საზრუნველი ის არის, რომ მუშა
კაცი აქციონ სრულს თავის ქონებათა და მინამ
სწუწვნის იმას ჯანსა და ლონეს, მინამ შეუძლიან
იმას ამისი საქმის კეთება; რაკი ალარ შეიძლება, და
სხვები მრავალნი თხოულობენ ამის ადგილს, მაშინ
იმათ აიყვანს და დაუწყებს ახლა ამათ ჯანს და ლო-
ნეს წუწვნასა. ამ გვარს მდიდართაგან ხალხის წუწვ-
ვნას ეწევა თან და თან ახალ-ახალი მაშინების მო-
გონება და შემოღება, რომელნიც უფრო და უფ-
რო ამცირებენ მუშა ხალხის საჭიროებას ქარხანებსა
თუ მამულებში. მაშასადამე ქონების პატრონს დღე-
ვანდელს წესში არა აიძულებს-რა, რომ დაჰზოგოს
ხალხი; მისცეს იმას იმოდენა მაინც არის სამუშაო
ფასი, რომ იმას მაძღრისათაც არის შეეძლოს თავის
შენახვა; იმას აქვს კანონათ მხოლოდ გაძლიერება
თავის სარჩოსი და ქონებისა, და რამდენიც უფრო
ხან-გრძლივ და იაფათ ამუშავებს მუშათა, იმდენი
უფრო გაიზრდება ამის ქონება და შეძლება. თუ
სადამდის მიაღწია ამ ქონების ზრდის წყურვილმა
და ხალხის დაუზოგავობამ, ამას გვიჩვენებენ ჩვენ
ინგლისის მწერლები, იტალიის მწერლები და სხვა
რომელიმე ევროპის სვინდისიერი მწერლები, რო-

მელნიც ამბობენ, რომ, რაკი რომელსამე პიროუტყეს ანუ მიწის მოსავალს დაედო ფასი, მიწის პატრონთა და ქონების პატრონთ ანებეს თავი მიწებზე პურისა და სხვა კაცის საზრდოს თესვასა და ან მოჰყავდათ სამლებრო ანუ სხვა ძვირფასი ნივთეულებანი, ანუ გადააქციეს მაგალითად მარინოსის ცხვრების საძოვრათაო,—ასე რომ აღარ აძლევდნენ ამ მიწებს გლეხთ სახნავათა და არამც თუ მთელი სოფლები და ბევრგან, მაგალითად იტალიაში, ბელგიაში და მეტადრე ანგლისს და ირლანდიაში, მთელი ქვეყნები წყდებოდნენ შიმშილითა და ვისაც კიდევ მოსდევდა ჯანი და ღონე, ათასობითა და ათი-ათასობით ყოველ წლივ გარბოდნენ თავის ქვეყნებიდამ სხვა ქვეყნებშიაო. ასე რომ მთელს მილიონ ხალხებს ქონების პატრონნი ანაცვალებდნენ თხა-ცხვარს, ყაჭის ჭიას და სამლებრო ნივთეულებსა. იქამდის მიაღწია ამ გ ვარმა ხალხის შეუბრალებლობამ, სწერენ ეს მწერლები, რომ საქონელს, ცხენებს და ძაღლებს უფრო ფასი ედო, ვიდრემ კაცსა, და პიროუტყვნი უფრო კარგათ იკვებებოდენ, ვიდრემ მუშა ხალხნიო.

ჩვენ კიდევ ვერ უჩვენებთ სრულს სურათს მკითხველსა, რაც მოსდევს ქონების უფლებასა და ბატონობას და მის კანონათ დამკვიდრებას. ჩვენ აქ გვინდოდა გვეჩვენებინა მკითხველისათვის ის კანო-

ნი, რომელსაც მოსდევს ქონების უფლების აღიარება.

მართალია ამ უკანასკნელებამდის ჩვენში ჯერ საქმე არ მისულა, რათგან ჯერ არც ხალხი გამრავლებულა ჩვენში ისე და არც ქონება დატრიალებულა ასე უწყალოთ თითო ოროლას ხელში. მაგრამ ჩვენც ამ კვალს ვადგევართ და თითქმის სხვებზედ უფრო ადრე, რადგან ჩვენში უფრო ადრე დამკვიდრდა მამულების და ქონების დასაკუთრება და ამ მამულებისა და სხვა ქონების საშვილის-შვილო დამკვიდრება, რომელიც, როგორც ზემოთაც უჩვენე მკითხველებს, იყო პირველი მიზეზი ამ გვარი უსწორობისა და მომეტებულ ნაწილი ხალხის უბედურებისა.

რასაკვირველია, რაკი დატრიალდა ამ გვარი წესი, რა კი ხალხმა ნახა, რომ ამისი საქმე თან-დათან უფრო უარ და უარ მიდის და ქვეყანა რჩება თითო ოროლათა და სხვებს ელით შიმშილით გაწყვეტა და გაწრიოკება, ამის გამო ხალხმა და ხალხის ერთგულთ მეცნიერთ მიაპყრეს ღრმათ გონება, თუ რა უნდა ეშველოს მომეტებულს ნაწილთ დაჩაგრულთა, რომ იხსნან ამ წესისა და სიმდიდრის უფლებისა და ბატონობისაგან.

რასაკვირველია, რაკი გადაავლეს ისტორიას თვალი, ასწონეს კიცის წარსული ცხოვრება და

ქცევა, მაშინ ცხადლივ დაინახეს, რომ ყოველი უ-
ბედურება წარმოსდგება იქიდამ, რომ ხალხს ნამდვილს
ხალხს არ ეჭირა არასოდეს უფლება ხელში და ხა-
ლხი აძლევდა თავის-თავსა და თავის ქონებაზედ უფ-
ლებას თითო ოროლათა, რომელთაც ძალაც ხელში
ეჭირათ ხალხისა და სამართალიცა; მაშასადამე არც
არაფერს შეეპუებოდნენ ხალხის სურვილს და არც
შეასრულებდნენ ხალხის საჭიროებას, რადგან ხალ-
ხის სურვილისა დასაჭიროების შესრულება იყო
ამათი საზარალო და საგნებელი.

რაკი ეს სცნეს მეცნიერთა, რაკი ეს სცნეს გა-
მოკვლევით ხალხისათვის თავ-გამოდებულთა, მაშინ-
ვე დაუწყეს ამისი ხალხს შეგონება. იმათ პირდაპირ
დაუწყეს ხალხს ქადაგება, რომ მინამ შენი საქმეები,
შენი თავი, შენი ჯანი და შენი ქონება არ იქნება
შენს ხელთა, მინამ სახალხო გამგეობა და ხალხის
ძალა არ გეპყრობა შენა, მინამ არ მოგელის არა-
ვითარი კეთილი, მინამ იქმნები შენ შემძლე და
ძლიერთ კაცთ ხელთ პირუტყვზედ უხმო და უსუ-
ლო მაშინასავით სახმარი; მინამ შენცა და შენი
შთამამავალიც იქმნება ნიადაგ მშიერ-მწყურვალი და
მოგელით ტანითა და გონებით გაწრიოკება და ბო-
ლოს გიწერია სრული ჭკუითა და სხეულით დაპყრო-
ბა და დასასრულ სრულიად მოსპობა, როგორც ის-

პობიან კიდეც ეხლავე მრავალი სამუშაოს მოკლებული ხალხი თავისი ცოლ-შვილით.

რაკი ამ აზრს მოჰკრეს ყური შეგმძლებისა და უფლება მინიჭებულთ ხალხთ, იმათ ამ გვარი აზრები ჰპოვეს კანონისსა და სახელმწიფო წესების წინააღმდეგათ, რომელნიც თვითონვე დაეწესებინათ, ვითომც მთელი ხალხის თანხმობით, თუმცა ხალხს არც კი გაუგია, როცა ისინი აწესებდნენ სხვა-დასხვა სჯულებს და სხვა და სხვა კანონებს. იმათ დაუწყეს სასტიკათ დევნა ამ გვართ სიმართლისათვის თავის გამომდებთ. იმათ დაუწყეს ამათ დატყვევება და წამება, როგორც ატყვევებდნენ და აწამებდნენ კერპნი თუ ქრისტიანნი ნამდვილი ქრისტეს სწავლის მქადაგებელთ. მაგრამ, რაკი ერთი გაიღვიძა ნამდვილმა აზრმა, რაკი ერთი გავარდა ხალხში იმათი სამართლის ხმა,—სიმართლის მქადაგებელნი არ შეუშინდნენ ხალხის მტრებსა არც იმათ ძალას არც ჯალათს, არც ტყვეობას და არც წამებას. ისინი პირ-იქით თვით ცულსა და ხმალქვეშაც თავისას ჰქადაგებდნენ და აი სხვათა-შორის სადამდის მიდიოდა იმათი გაბედულობა. ერთს ინგლისელს მუშა კაცს, არტურ-ტიტლსვულს, რომელმაც გამოიდო თავის მოძმეთა მუშა ხალხის გასანთავისუფლებლათ თავი, გადუწყვიტა ინგლისის მართებლობამ სიკვდილით დასჯა, მაგრამ აი სიკვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ა. გიორგაძეების სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гриценко

38279

დილის წინათაც რას ელაპარაკებოდა ის თავისა და თავის ამხანაგი მუშა ხალხის მტრებს სასამართლოშივე.

„ბატონებო! თქვენ მეკითხებით: რა მაქვს ჩემს სიმართლეთ სათქმელი, რომ ვიხსნა თავი სიკვდილისაგან, რომელიც თქვენ გადაგიწყვეტიათ ჩემთვის. მე მაგგვარს თქვენს კითხვას უყურებ ისე, როგორც მასხარაობას. მთელი ქვეყნის სიმართლეც რომ მქონდეს მე და შემეძლოს ამ სიმართლის წარმოდგენა თვით ციცერონის მჭერ-მეტყველობით, თქვენს დიდ-კაცურს გაუმაძღარს გულს ვერა დაამშვიდებს-რა, ვიდრე არ გასძღება იგი იმ სისხლით, რომელიც აფეთქებს ჩემს გულს და რომელიც მდინარებს ჩემს ძარღვებში. მაგრამ ეს გული არ შედრკება ხალხის სიმართლისათვის არც თქვენი ჯალათის ცულის წინ, არც თქვენი სისხლით გაუმაძღარის სამართლის წინ; ეს გული სცემს ხალხის სიმართლისთვის, რომელიც თქვენი დიდებით გაუმაძღარი გულისთვის არის გაუგებარი, თქვენთვის, რომელთაც დაიპყრეთ ძალა, ქონება და სიკვდილ-სიცოცხლე ხალხისა, ხელთა. მე სრულიადაც არ ველი თქვენგნით სამართალს, რადგან სიმართლე დიდი ხანია გაქვთ თქვენ დაკარგული, და რაც შეეხება თქვენს პატიოსნებას, —საზიზღარი და სათაკილოა ჩემთვის პატიოსნება თქვენი. იქნება განიზრახოთ შეწყალება ჩემი? ამაოთ!

მე მინდა მხოლოდ სამართალი, რომ ვიცოდე რომ თქვენში იპოვება სიმართლე!...

„გავა რამდენიმე საათი და მოსწყდება ჩემი სიცოცხლეცა. მაგრამ ღამის ნიავი, რომელიც დაჰქროლებს საფლავსა, სადაც მე ვიქმნები უპატიოთ თქვენგნით ჩაგდებული, მოჰბერავს თქვენი დიდებული სასახლის ფანჯრებსა, და აგიშლით თქვენ თავზედ ბალანსა და აგათრთოლებთ ფიქრი, რომ მოჰკალით კაცი, რომელიცა ჰქადაგებდა კაცთა სიმართლესა და რომლისაც სიკვდილმა უნდა გააღვიძოს ხალხი, რომელიც მოითხოვს თქვენგნით მართალთა სისხლსა. მაშინ თქვენ მოუსვენრათ დაიწყებთ ფოტინს თქვენს ნებიერს ყუათუკით მოსილს სარეცელსა... და მაშინ წარმოიდგენთ თქვენს საშინელს სისხლით გაუმაძღროობას... მაგრამ ამაოთ!...

„მე არ მენანება სრულიად სიცოცხლე. მაგრამ, ვიდრემ ეს სიცოცხლე არ გამომწირვია კიდევ თქვენგან, მე გამოგიცხადებთ თქვენ რისთვისაც ვიბრძოდი, რომ გაიგოს ეს ქვეყანამ, რადგან ვიცი თქვენი და თქვენ გვარი კაცების ხასიათი, რომ ისინი დაუმალამენ ქვეყანას ჩემს ქცევას და დამადებენ ბრალათ იმ გვარს დანაშაულობას, რომელიც გულშიაც არ გამვლებია. ჩემი აზრი, ჩემი საბრძოლველი იყო ბედნიერება ჩემის ქვეყნისა დახსნა უბედურებიდამ ჩემი დამშეული თანა-მოძმე მუშა ხალხისა.

დიახ, მე თანაუგრძნობდი მათს სიღატაკეს. მაგრამ, როდესაც ეს სიღარიბე გახადეს სამასხარაოთ, როდესაც ამ ღარიბთა დაწყლულებული გრძნობა იქმნა შემუსვრილ შეუწყალებლათ და თავ-ხედურის ძალადობით, მაშინ მე ველარ შევიმაგრე თავი. მაშინ მე ვუთხარ ჩემ თავს: ან უნდა მოკვდე და ან უნდა აიღო სისხლი ამ უბედურთ და დაჩაგრულთა მეთქი... ინგლისელთა გულში რომ ჰლვიებულიყო მცირეც არის ნაბერწკალი პატიოსნებისა და თავისუფლებისა, ისინი ყველანი ერთათ აღდგებოდნენ ჩემთან სიმართლისთვინ და გამოიდებდნენ თავს...

„ალბიონი (ინგლიზეთი) სდევს მტრების ფეხქვეშ ბორკილ შეყრილი და ულელ დადგმული; მე ვშორდები იმას და არ მენანება ეს მოშორება. მოვა დრო, როდესაც დაიწყებენ ჩემ საფლავზედ ლოცვას და დაუწყებენ ჩემს გვამს თაყვანებას რაკი გაიგებენ რა საქმისათვისაც იქმნება ჩემი სიცოცხლე განწირული. მაგრამ მე ამ ჟამათ მაწუხებს ისა, რომ ეს ქვეყანა დარჩება კიდევ დიდ-ხანს მონებისა და ტყვეობისა, მტარვალებისა და მაშენიკების ქვეყნად. შთამამავლობა დააფასებს ჩემთ საქმეთა. მამკალით მე მოლოდები, რათგან გიმეორებთ რომ თქვენგან სამართალს არ ველი, და შეწყალებას კი არ მივიღებ“.

ამ გვარათ გაალვიძეს და აღვიძებენ ხალხის

გრძნობას და გონებას ხალხის სიმართლისთვის თავ-
გამოდებულნი და არ არიდებენ ისინი თავს არც
სიკვდილს, არც ტყვეობას, არც სხვა რიგ მძიმე და
დაუსრულებელს სასჯელს.

ხალხის სიმართლისთვის დიდი ხანი არის კა-
ცობრიობაში ბრძოლა, მაგრამ იმ ბრძოლამ ვერც
ერთხელ ვერ გაიტანა თავი და ვერ გაადევნა ბო-
ლო. ბრალი ამისი იყო ისა, რომ არც ხალხს, არც
ხალხის სიმართლისთვის თავ-გამოდებულთ არა
ჰქონდათ კარგათ გამოკვლეული გზა, რომელზედაც
უნდა დამდგარიყვნენ. მინამ კაცს შეუვიდოდა თავ-
ში რწმუნება სამღრთო ძლიერებაზედ, მინამ ის
იბრძოდა თავის სიმართლისათვის გაუგებრათ: დღეს
ის გადააგდებდა ერთს თავის შემაწუხებელს, ხვალ
ამავე ხალხიდამ ძლიერი კაცი დაიჭერდა გადაგდე-
ბულების ადგილს, რადგან ვერ დაეჭირათ ერთხელ
და ერთხელ ისეთი წესი და წყობილება, რომ ეს
შეუძლებელი ყოფილიყო, და ამ გვარი წესის დაყე-
ნება შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც
ამ გვარს წყობილებას დაეხმარებოდა ცოდნა, გა-
მოცდილება და მეცნიერება, რომელთაც ისინი მო-
კლებულნი იყვნენ. რაკი დატრიალდა ხალხში აზრი
ბუნების გარეშე მყოფს სამღვრთო ძალაზედ, რო-
მელიც განაგებდა იმათ აზრში ყოველს კაცისა და
ბუნების საქმეებსა და მოვლინებაებსა, მაშინ მოინ-

დომეს ხალხის ერთგულთა ამ აზრებით მოქმედება და შეგონება ხალხისა და ხალხის მთავართა მოხელეთა, მეფეთა და დიდებულთ, რომ ძმობა, თანასწორობა და ერთობა არის სურვილი სამღვთო. ამ გვართ ხალხის ერთგულთ ეკუთვნოდნენ ქრისტე, რომელიც ჰქადაგებდა ებრაელებში, ბუდას სწავლას, რომელიც თითქმის ათასის წლის წინათ ქრისტეზედ ჰქადაგებდა ამასვე ინდოეთში, მოციქულნი ქრისტესი. იოვანე ოქროპირი და ბოლოს დიდათ სახელოვანი ნემენცი მიუნცერი და სხვანი მრავალნი. მაგრამ მათმა ქადაგებამაც ვერ მისცა კაცთ ისა, რასაც ისინი ელტოდნენ, რადგან თვის სწავლაში ისინი ურევდნენ ბუნების გარეშე უცნაურს და რაღაცა მისნურს სწავლასა, რომელიც აშინებდა და ატყუებდა კაცის გრძნობა გონებას, რომელნიც იყვნენ სრულიად გამოკიდებულნი ბუნების ძალასა და მოვლინებაებზედ, და, მაშასადამე, რომელზედაც უნდა ყოფილიყო კიდეც ყოველი სწავლა და ყოველი ამისი საქმე დამყარებული. როგორც ინდოელთათვის კასტური (წოდებათა დაყოფილება) დაამყარეს ბუდას სწავლაზედ, ეგრეთვე ქრისტიანები თუმც უნდა სრულიად წინაალმდეგსაც ჰქადაგებდა,—თვის დღევანდელ წესსა და წყობილებას ამყარებენ „სახარებასა“ და „სამოციქულოზედ“, თუმცა ქრისტე ნიადაგა ჰქადაგებდა ძმობას, თანასწორობას და ერთობას; თუმცა მოცი-

ქულნი ნიადაგა ჰქადაგებდნენ, რომ წინაშენ ღვთისა სწორე არიან მონანი და უფალნიო. ამ გვარი ცვლილება და გადასხვაფერება ამ მალალის სწავლისა მოხდა იქიდამ, რომ ყველა სიტყვის სხვა-და-სხვა რიგათ აღსნა და გადასხვაფერება ყველას ადვილათ შეეძლო, რადგან ეს სიტყვები არ არიან იმ გვარს საფუძველზედ დამყარებულნი, რომ რამდენიც გინდა აბრუნო იგინი, ველარ შეიცვალოს იმათი აზრი და ყოველთვის ერთი და იგივე აზრი გამოდიოდეს. მათემათიკა რაკი არის იმ გვარს საფუძველს და მეცნიერულს ძალაზედ დამყარებული, რომ რამდენიც გინდა ეცადო, რამდენიც გინდა სცვალო, მაინცა-და-მაინც ორ-ჯერ ორი გამოვა—ოთხი. ორ-ჯერ ოთხი გამოვა—სხვა-და-სხვა, რაკი ფიზიკა, ფიზიოლოგია, ქიმია და სხვანი არიან იმ გვარს მეცნიერულს საფუძველზედ დამყარებულნი, რომ მათი კანონები ვერ გადასხვაფერდებიან, რამდენიც გინდა ეცადოს კაცი, და რათგან ამათი ავტორიტეტი არის თვით ეს სწავლა და მეცნიერებანი და არა კაცნი, რომელთაც უწერიათ ესენი, — ამის-გამო მათი ძალა და მათი კანონები დარჩებიან გადუსხვაფერებელნი და გაურყვნელნი. ამ გვარსავე სამეცნიერო საფუძველსა ჰსაჭიროებდა სწავლა ხალხთა სიმართლის აღდგენისა, ძმობისა, ერთობისა და თანასწოროობისა,

და არა ბუნების გარეშე ძალაზე დამყარების ქადაგებასა.

ამ გვარს აზრზედ დადგნენ მხოლოდ ბოლოსა, მეტადრე რაც დაუწყეს შემუშავება პოლიტიკურს ეკონომიას, რაც მეიცა ძალა და დაუწყეს მეცნიერული გამოკვლევა სოციოლოგიას, ანუ საზოგადოებათა მეცნიერებას.

აი ამ მეცნიერებათა გვიჩვენეს რომ უმთავრესი კაცის დამღუპავი უთანასწორობისა და მდიდარ-ღარიბობის დამბადი გახდა ის წესი, როდესაც კაცმა უწყო დასაკუთრება ბუნების მომნიჭელობათა და მეტადრე ისა, როდესაც ეს საკუთრება გარდააქცია საშვილის-შვილო სამკვიდროებათ.

დღეს, რასაკვირველია შესდგომიან ამის დარღვევას და იმ გვარათ დაწყობას, რომ აღარ იყვეს ესეები იმდენათ მაინც, რამდენათაც ამას ჰსაჭიროებს ხალხების თანასწორობა ცხოვრებისა და წოდებაებში.

სხვათა შორის მეცნიერება, დასამტკიცებლათ თავის აზრებისა, ჩვენება იმ ქვეყნებზედ, სადაც არის კიდევ დარჩენილი საერთო მფლობელობა მამულებისა და არ გადადის მამულები სამკვიდროთ შვილსა და შვილის-შვილზედ და სადაც არ არის ხალხი ჩავარდნილი იმ უკანასკნელს სილარიბეში, რომელსაც ვხედავთ იქა, სადაც მამულების ერთობა

არის მოსპობილი და სადაც მამულები არის დასაკუთრებული. ამ გვარი მამულების საერთო მფლობელობა, და საშვილი-შვილოდ დამკვიდრებული, არის დარჩენილი რუსეთის სახელმწიფო სოფლებში.

რამდენათ მაღლა სდგას საზოგადო ხალხის სარგებლობისთვის იმ გვარი მამულების სარგებლობა, მამულების საშვილის-შვილოთ დამკვიდრებაზედ, მე მოვიყვან ჯერ ერთი ნემენცების მეცნიერის ბარონ გაკსგაუზენის რუსეთის მამულების საერთო მფლობელობის აღწერიდან ალაგებსა, და შემდეგ უჩვენებ მამულების საერთო მფლობელობის უპირატესობას და დასასრულ მის შეცვლას და გაუმჯობესობას საერთო სარგებლობისთვის.

ჩვენ შემოკლებით მოვიყვანთ, რასაც გვიწერს ბარონ გაკსგაუზენი რუსეთის მამულების საერთო მფლობელობაზედ.

რუსეთის თვითოეული სოფლის მცხოვრები ყველა ამბობს ისა,—ერთობრივ ირიცხება თანასწორ პატრონათ, რაც ამ სოფელში მამული, ტყე, სახნავი, საძოვარი, მდინარე წყალი, ტბა, აუზი თუ სხვა რამ მოიპოვება ამ სოფლის სამამულოში: ყველა მამაკაცს უდევს სხვების თანასწორი წილი ყოველს ამ ქონების სარგებლობაში. ტყე საწყლის-პირო, საძოვარი და სანადირო ადგილები რჩება გაუყოფე-

ლი და ყველას თანასწორი უფლება აქვს ამათს მოხმარებასა და სარგებლობაზედ. სახნავი და სათიბი კი იყოფება სასოფლოთ თვითეულს მამაკაცზედ. გაყოფა ხდება ასე: უფარდებენ კარგსა და ავს, შორს და ახლო მიწებს ერთმანერთს და აყრიან წილსა: ვისაც რა შეხვდება, იმას დაესაკუთრება, ვიდრემ ახალი გაყოფის დრო არ მოვა. ახალი გაყოფა მომეტებული ნაწილი მოხდება კამერალიის აღწერის დროს. მაგრამ ყველგან ასე არ არის: ზოგან ხუთს წელიწადში ერთხელ მოხდება სასოფლოთ დაყოფა, ზოგან ათ წელიწადში ერთხელ და ზოგან მეტი და ზოგან ნაკლები ხანის განმავალობაში. მამულების შეფარდებისა და წილის ყრის დროს ეთელი სოფლის საზოგადოება არის ერთათ შეყრილი. მამულებს სწილამენ, ზომამენ და აფარდებენ სოფლის განსაკუთრებითი ხელოსანნი, რომელთაც კარგათა აქვსთ ეს შესწავლილნი მამა-პაპითვე და ისე სწორეთა და სამართლიანათა ჰზომენ, ჰყოფენ და აფარდებენ, რომ ძვირათ თუ მომდურავი თავის წილისა ვინმე რჩებოდეს სოფელში. ამასთან, ალაგ-ალაგ არის დადებული, რომ თუ ვისმე გაუპატივებია და გაუუმჯობესებია მამული, ამ გვარი მამულები გაყოფის დროს თუ ამოდენა წილი შეხვდებათ, რჩებათ ამათვე; თავის ხვედრ წილში ეგრეთვე თუ ბალი გაუშენებიათ, ეს

ბალებიც რჩებათ ამათა, თუ შეხვდებათ ამოდენა ალაგი წილში. თუ არა და ჩამოერთმევათ მარტო ისა, რაც მეტი მოვა ამათს ხვედრს წილზედ და დანაშთენი ამათა რჩებათ,—თუმცა ძალიან ძნელი საფიქრელია, რომ იმოდენა მამული გაეპატივებინოს ვისმე, ან გაეშენებინოს, რომ დაყოფის დროს იმაზედ ნაკლები წილი შეხვდეს. მაშასადამე, თუ გაპატივება და გაშენება ვისმე უნდა თავის ხვედრი მამულისა, შეუძლიან სრულიად უშიშრათ გააშენოს და დარწმუნებული იქმნება, რომ ეს გაკეთებული მამულები ამასვე დარჩება. ამ გაყოფის დროს საკვირველი სიმშვიდე და უყაყანობაა მთელს სოფელში. უკეთუ მოხდება, რომ ვისმე წილში ერგოს სხვებზედ უხეირო მიწები, მაშინ გამოზომილი მიწებიდამ უდებენ ამათ კიდევ წილს.

ამავე გაკსტგაუზენის სიტყვით, ამ გვარის სოფლების მახლობლათ ყოფილან დასახლებული ნემეცები, რომელთაც თავისი ჩვეულება და ადათების წესით მისცემიათ მიწები, ასე რომ მიწები ჰქონიათ ყველას თავის საკუთრებათ და საშვილის შვილო სამკვიდროთ. რაკი ამ ნემეცებს უნახავთ ამ რუსების წესი, მოსწონებიათ ესა, და უნახავთ საზოგადოთ და თავის საშვილის-შვილო სასარგებლო საქმეთ, უთხოვნიათ რუსის ხელმწიფისთვის, რომ ჩვენც მოგვეცით ნება, რომ ჩვენი მეზობელი რუ-

სების წესზედ ვიდგეთო და მიილეს ამათაც რუსების სოფლების მფლობელობისა და დაყოფის წესი.

ამასთან დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ამავე გასკტგაუზენის სიტყვით ყველა წილის საყრელი მიწები ისეა დანაწილებული, რომ თითო მონაწილეს თითო მხარესა აქვს ყველა მიწები წილათ მიცემული, ასე რომ ცალ-ცალკე არა აქვთ გაფანტული მიწები, რომელნიც დიდათ საზარალოა ყველასათვის, რადგან გაფანტულს მიწებს ისე ვერ მოუვლის კაცი, როგორც ერთს ადგილას შეკრებილს. ამასთან, ესეც უნდა დაიხსომოს მკითხველმა, რომ აქ მონაწილეობა ეძლევა სულზედ და არა კომლზედ, ამასთან გაყოფის დროს აქვს წილი ყველას, როგორც ახლად დაბადებულს, ეგრეთვე მილრწნეულს ბებერს.

ეს კიდევ არაფერი, ზოგიერთა სოფლებში არის წესი ამავე გაკსტგაუზენის სიტყვით, რომ საზოგადო სასოფლო გუთნის ხარები შეინახონ. ეს უფრო იქა ხდება, სადაც ხმარობენ გუთანსა. რადგან ყველას არ შეუძლიან, რომ შეინახოს გუთნეული, ამის ვამო სოფელსა ჰყავს სასოფლოთ რამდენიმე გუთნეული საქონელი თავის გუთნის იარაღებით და ჰხვნენ ამ გუთნებით ყველასათვის რამდენიც საჭიროა.

შემდეგ ამ გვარს წყობილებაზედ ამბობს გაკსტგაუზენი:

„ეს ჩვეულებანი რუსეთისა სდგანან უზომოთ მაღლა სახელმწიფოს კეთილ-დღეობისათვის, ვიდრემ სხვა ქვეყნებისა. ჯერ ერთი ისა, რომ ამგვარი მამულის მფლობელობა აშორებს რუსეთის ხალხს იმასა, რომ არ შეიძლება აქ გაჩენა პაუპეროობისა, ესე იგი უბინაო, უმამულო და უსაქმური ხალხისა, რომელიც ასე უწყალოთ მრავლდება და ამძიმებს ევროპის სხვა სახელმწიფოებს. აქ მამულების დაყიდვა და დაგირავება არავის შეუძლიან, რათგან ეს მამულები არიან სახელმწიფო საკუთრებანი, რომელნიც აქვთ სოფლებს მიცემული სასარგებლოთ, ანუ არის მთელი სოფლის საკუთრება და არა ცალკ-ცალკე თითო თითოსი, რომელთაც მხოლოდ სასარგებლოთა აქვთ მიცემული. ყველა სოფელში მცხოვრებს შეუძლიან თავისი ხელით და თავის თავით შეძენილი სარჩო გინდა შეჭამოს, გინდა გადაყაროს; მაგრამ მამულებს ვერას უზამს და ამის გამო ამის შვილებსა და შვილის შვილებს ნიადაგ რჩებათ ცხოვრების სახსარი».

ამ გვარივე საერთო მფლობელობა და უფრო ვრცელათაც არის ყაზახებში. ჩვენ მოვიყვანთ აქ ეგრეთვე შემოკლებით გაკსტგაუზენის აღწერიდამვე ურალის ყაზახების საერთო მფლობელობაზედ.

— აქაც,—სწერს გაკსტგაუზენი,—ისეთივე წყობილებაა და მამულების საერთო მფლობელობა, რო-

გორც რუსეთში. მაგრამ აქ სრულიად არ იციან, რა არის პირადი მამულის საკუთრება. მამული, რაც უჭირავთ ამ ყაზახებს, არის სრულიად მთლად ყაზახებისა საერთო და ყველას თანასწორი ნება და უფლება აქვს აქა. ყველაზედ მესანიშნავი არის აქა სათიბი ალაგები და სათევზაო ალაგები, რათგან ხვნა თესვას აქ ისე არ მისდევენ, როგორც პირუტყვთა მოშენებას და თევზაობას. აქ სათიბი ადგილები არ დაიყოფა თითო სულზედ ცალკე, როგორც იყოფა ეს რუსეთში. აქ არამც თუ თითო თითო და თითო სოფელსაც არა აქვს სათივე ადგილები, აქ რაც სათივებია სულ საერთოა ყველა ურალის ყაზახებისა. თიბვა იწყება ყაზახის ატამანის (პირველი იმათი მეუფროსე) იმისი თანაშემლისა და სტანიცების (სოფლების) აფიცრების განკარგულების ქვეშ.

ატამანი ნიშნავს დღესა, როდესაც უნდა დაიწყოს თიბვა. აქ თიბვის დროს გამოსდევენ მთიბავებს აფიცრები ყურის-საგდებლათ და წესის დასაცველად. ყველა ყაზახს შეუძლიან, სადაც უნდა ამოირჩიოს სათიბავათ ალაგი. რამწამს ამოჰყოფს მზე თავსა, აფიცრები მაშინვე დასცემენ დასტურს და იწყებენ ყაზახები ყველა თავისი სათიბი ადგილის შემოთიბვით შემოფარგვლას. ამ ერთ პირველს დღეს ყველა მარტო თიბვით იფარგლამს იმ ადგილს, რაც გასათიბა-

ვათ უნდა. თუ იმოდენა ადგილს დაუწყო ფარგვლა, რომ ველარ მოასწრო გარს შემოვლება ფარგლისა იმ ერთ დღეს, მაშინ ამ ცარიელს ადგილას შეუძლიან მეზობელ მთიბავებს შემოვიდნენ ამ ფარგალში და გასთიბონ, რასაც გასწვდებიან. მინამ ატამანის დასტური არ გამოვა, არ შეუძლიან არავის, რომ ერთი ბეწვა ადგილი გასთიბოს და არამც-თუ გასთიბოს, არც ცელის ტარზედ მოსახვევი მოახვიოს, თორემ მაშინ სრულიად ალარ გაათიბვინებენ არასფერს იმ წლობითა და დარჩება უთივოთ.

როგორც თიბვას ეგრეთვე თევზაობასაც ვადა აქვს და ამ ვადაზედ მიდიან ყველანი წყლებზედ და იჭერენ, ვისაც რამდენი შეუძლიან, თევზსა. ამ დროამდის არავის არ შეუძლიან, რომ თევზისთვის წყალში ფეხი ჩასდგას.

აი ეს არის შემოკლებით რუსეთის საერთო მამულების მფლობელობა, როგორცა სწერს გაკსტგაუზენი.

ახლა გავშინჯოთ, რა სარგებლობა მოსდევს ამ გვარს წყობილებასა და რამდენათა სჯობს ის ჩვენებურს მამულების დასაკუთრების წესსა.

ჩვენ თავშივე მოვიყვანეთ, რომ საშვილი-შვილოთ დამკვიდრებას რა მოსდევს, რომ მემკვიდრეებში რამდენიმე მონაწილე ისე მრავლდება, რომ ალარც კი ჰყოფნით სამკვიდრო მამული, ზოგი კი მისდევს

თითო-ოროლა ღერს და რჩება დიდ-ძალი მამული. ამის გამო ერთნი რჩებიან უნაწილოდ სრულიად და ღარიბდებიან, ზოგნი კი თითო ოროლა არა მრავ-ლდებიან, ბევრი მამულები რჩებათ და ამისგამო არიან მდიდრათა და თან-და-თან ღარიბების უკანასკ-ნელს მამულებსაც ესენი ყიდულობენ. გარდა ამისა, ჩვენ თავშივე მოვიყვანეთ კანონი, რაც მოსდევს სი-მდიდრესა და დიდს შეძლებას: ეს სიმდიდრე არის იმ ძალის მქონე, რომ თან-და-თან იზიდავს და იჭ-ერს ხელთ სხვების ქონებას და ამ სხვის ქონებითა და სილარიბით თითონ იზრდება. ამ გვარის წესიდამ დგება ისა, რომ, სადაც ეს წესი დიდ-ხანს გასტანს და ამასთან იქ ხალხიც ძრიელ გამრავლდება, იქ მარტო თითო ოროლას ხელში ტრიალდება მთელი ხალხის ქონება და სარჩო და დანაშთენი ხალხი რჩე-ბა უმამულოთ, ცხოვრების უსალსროთ და ითმენენ შიმშილს, სიტიტვლეს, უბინაობას, წრიოკდებიან ჭკუით და სხეულით და ბოლოს წყდებიან კიდეცა. რა კი ამ გვარი მამულებისა (თუ სხვა ქონების) და-საკუთრება გადადის სამკვიდროთ, მაშინ მდიდრებს თან-და-თან უფრო და უფრო ეძლევათ ძალა, რომ დაიცვან თავის სიმდიდრე, წავიდენ წარმატებაში უმუ-შა ხალხოთაც, მეტადრე ეხლანდელს დროებაში, რო-დესაც მაშინა აკეთებს ყოველი კაცის საქმეს. მაშინ მუშა კაცს აკლდება ის საამუშაოცა, რაც ერგებო-

და იმას მდიდრიდამ, რომ მაშინები არა ყოფილიყო მაგალითათ მდიდარი კაცი ქართული გუთნის მაგივრათ გაიჩენს ინგლიზელს რანსომის გუთანს, რომელსაც რვა ულელის მაგივრათ უჭირს მარტო ოთხი ულელი—ოთხი მეხრის მაგივრათ ორი მეხრე, დღიურის მაგივრად ჰხნამს დღეში ეს გუთანი თითქმის ორი დღისას. აქედამ წარმოსდგება ისა, რომ ამ მდიდარს კაცს, რომელსაც უჭირდა ოთხი მუშა კაცი და ოთხ კაცს აძლევდა სარჩოს, ახლა უჭირს ორი კაცი და დანაშთენი ორი კაცი დარჩა უსაქმურათ, მაშასადამე სახსარ-მოკლებულიცა. ამასთან ჰხნამს ერთი ორათ—ერთი ოთხათ მეტ მამულსა თავისთვის საკუთრათა ⸗ ალარ რჩება უმამულო კაცს ამისი მამული მოსახნავათ. რანსომის გუთანი კიდევ არაფერი. მემამულე იჩენს ახლათ მოგონილ გუთანს, რომელიც ორთქლის, ანუ ცეცხლის შემწეობით, უხაროთ, უცხენოთ ჰხნამს რანსომის გუთანზედ ერთი ორათ, ერთი ხუთათ მეტს და არ უნდა ერთი მმართველის მეტი; და ამ ხვნასთან კიდეც მაშინვე ჰფარცხამს, კიდეც მაშინვე სთესს. აქ ხომ მუშა და უმამულო კაცი სულ პირში ჩალა გამოვლებელი რჩებიან. ამასთან ესევე დიდი მამულის პატრონი კაცი იჩენს სათიბს და სამკალს მაშინას, რომელიც ოცი და ორმოცი კაცის ოდენას აკეთებს, იჩენს სალეწს მაშინას და ერთის სიტყვით, რაც კი შეძლება აქვს, იჩენს ყოველ-რიგს

მაშინას და აკეთებინებს ყველა საქმეს მაშინებს. მაშინ ყველა ის კაცნი, რომელნიც გამოდიოდნენ ამის მამულით, რომელნიც იღებდნენ ამისგნით სამუშაო ფასს და ინახავდნენ ამით თავის ცოლ-შვილს, რჩებიან უხნ:ვ-უთესნი და სამუშაო ფასს მოკლებულნი. რასაკვირველია, ეს დიდი მამულის პატრონი უფრო და უფრო გამდიდრდება, რაკი ყველა თავის ‘ამულს თითონ უვლის და აღარც გასდით სამუშაო ფასი. მემრე რა კი ნახვენ, რომ კაცის საზრდო ჭირნახული არ აძლევს დიდს ხელს, თან-და-თან აიღებენ ხელს ამ ჭირნახულის თესვასა და მოყვანაზედ. კაცის საზრდო ჭირნახულის მაგივრათ იწყებენ იმ გვარი მოსავლისა და პირუტყვების მოყვანას და გამრავლებასა, რომლებიც საჭიროა ზავოდებისთვის და ქარხნებისთვის. მაშინ საჭმელი პურიც ისე შემცირდება და გაძვირდება რომ, თუნდ ჰქონდეს კიდეც მცირე რამ შეძლება უმამულო და სამუშაო ფასს მოკლებულს კაცს არ ექნება იმდენი, რომ ამით იყიდოს და სჭამოს. აქ მცირე ქონებისა და მამულების პატრონთაც ისე გაუჭირდებათ, რა კი პური და ხორაგი დაძვირდება, რომ იძულებულ იქნებიან ცოტ-ცოტათი თავის უკანასკნელი სარჩო და მამულებიც მიჰყიდონ დიდი მამულებისა და შეძლების პატრონებსა.

აი შემოკლებით ის მავალითნი და ის კანონნი, რასაც მისდევს ის წესი მამულებისა და ქონე-

ბის წყობილებასა, რომელიც დღეს ჩვენში ტრიალებს.

მაგრამ რუსეთში, სადაც არის დაცული საერთო მამულის მფლობელობა, იქ ამ გვარად ხალხის გალატაკება შეუძლებელია, რადგან. როგორც გაკსტგაუზენი ამბობს, მამულების დაყიდვა არავის არ შეუძლიან, მაშასადამე, მამამ რაც უნდა ვალი დაიდოს, მამულები ვერ დაეყიდება იმის შვილებსა. ამასთან რამდენიც უნდა რომელიმე ოჯახი გამრავლდეს, იმდენი სასოფლო მამულიდამ ყველა მამა-კაცის სულზედ უნდა სხვების თანასწორი წილი მიეცეს. მაშასადამე გამრავლებით აქ კაცი რასაც არ მოიგებს, არას ზარალობს, რადგან ოჯახში, რამდენიც უფრო ბევრია მუშა ხელი, რა კი ყველას სხვების თანასწორი მამული ეძლევათ, იმდენი უფრო კარგათ იცხოვრებს. რა კი გაყიდვა არავის შეუძლიან მამულიბისა, მაშასადამე, რაც უნდა მდიდარი კაცი იყვეს, ვერცა რას თითონ იყიდის და ვერც აიწევს ის მამულების შეძენით ისე, რომ სხვებს ამითი ზიანი მისცეს. რა კი მამულებით ზურგი მისდევთ, მაშინ ესენი არ არიან ისე გაჭირვებულნი, რომ შეძლების პატრონთ იაფათ დაუდგნენ მუშათა და არ აიღონ თავისი შრომის ფასი, როგორც მოსდით ეს იმათა, ვინც უმამულოთ და შეძლება მოკლებულნი რჩებიან. აქ მთელი ის ხალხი, სადაც არის დაცული მამულების საერთო

მფლობელობა, თავის დღეში არ დარჩება უსარჩო-ოთ და ექნება ყოველთვის ცხოვრების სახსარი.

მაგრამ რამდენიც ხალხი და მეცნიერება ცნობაში მოდის იმდენი ჰპოვებენ, რომ ესეც არ არის საკმაო ხალხის ბედნიერებისთვის და მეტადრე სასოფლო მეურნოების წარმატებისთვის, ესე იგი ძამულების მოსავლისა და საქონლის მომატებისა და გაუმჯობესებისათვის.

არის ბუნების კანონი, რომ ხალხი მინამა მრავლობს, მინამ აქვს ხალხს იმოდენა ცხოვრების ღონეც არის, რომ შიმშილით არ იხოცებოდნენ და უფრო კიდევ მაშინ მრავლობს ხალხი, როდესაც ხალხს სარჩო საკმაო აქვს. მაშასადამე, რა კი მამულების საერთო მფლობელობის პატრონნი იქნებიან იმოდენს კმაყოფილს ცხოვრებაში, რომ უთუოთ დიდი გამრავლება უწერიათ, ამის გამო ცხადი საქმეა, რომ ერთს დროს არა და ზოგან ეხლაც მამულები საკმაო არა ხდება ხალხის ჯეროვანი ცხოვრებისათვის. ამის-გამო უნდა მამულებს და შინაურ პირუტყვს გაუმჯობესება. გაუმჯობესებას უნდა დიდი შეძლება. დიდი შეძლება ამ გვარს წესში შეუძლებელია. მაშასადამე, უნდა მოხერხდეს ისე, რომ მამულების გასაუმჯობესებლათ მოიპოვოს კაცმა საკმაო შეძლება. ამის-გულისთვის არჩევენ იმას, რომ მამულები დაიდოს სულ სასოფლოთ,

რომ დაყოფა სრულიად აღარ იყვეს: იხვნოდეს და ივლებოდეს მთლათ ერთიან ყველა სოფლის მუშა ხელის შემწეობით, და მარტო მოსავალი იყოფოდეს სასოფლოთ ყველა სულზედ ცალკე. ამ სასოფლოთ მოყვანილი სარჩოდამ აიღებოდეს იმოდენა მოსავალი, რომ გაუძღვეს ყოველ რიგს ძამულის და პირუტყვთა გასაუმჯობესებელს საჭიროებას. თითო-თითო კაცს, მაგალითათ, არ შეუძლიანთ ყიდვა სახნავი, საბარი, სათოხნი, საფარცხი, სამკალი, სათიბი სალეწი და სხვა ამ გვარი მაშინებისა, და მთლათ მთელი სოფლის ხარჯით კი შეიძლება ამათი ყიდვა, რაკი მამული დარჩება სასოფლოდ გაუყოფელი. ამასთან, სასოფლო ხარჯით შეიძლება დაბარება მეცნიერთ აგრონომთა, რომელნიც უჩვენებენ და გაუკეთებენ ხელოვნურს სასუქსა, რადგან ეხლა გამოკვლეულია, რომ პირუტყვის სასუქი არ არის საკმაო ყველა მიწებისათვის და ვერც ჩადის იმ სასუქობას, რომელსაც ჩადიან ახლად მოგონილი ხელოვნური სასუქნი; აჩვენებს წესს და მაგალითებს საქონლის და სხვა პირუტყვის გაუმჯობესობისას, ბალეულობისა და ბოსტნეულების საუკეთოსო მოვლას და ხელს და სხვა ამ გვარები, რომელიც შეუძლებელი იყო ცალკ-ცალკე ოჯახებისთვის და რომელიც ადვილია მთელი სოფლისთვის. აქ იგივე მაშინები, რომელნიც დღეს მდიდრების ხელში ჰლუპვენ ღარიბს ხალხს,

დაეხმარებიან მუშაობაში ხალხს და ერთი ასათ შეუ-
მსუმუქებენ ამათ ცხოვრებასა და შრომასა. ამ გვა-
რის წესით წავა წარმატებაში სასოფლო მეურნეო-
ბაცა და აიწევს ერთი ათათ და ერთი ასათ ხალხის
კეთილ-დღეობაცა. თუ არ იქნება ამ გვარი წყობი-
ლება, რომელიც ეხლა ავწერეთ, ან იმ გვარი
წყობილება მაინცა მამულების მფლობელობისა,
რომელიც არის რუსეთის მრავალს სოფლებში და
რომლებიც ეგრეთვე ჩვენ ავწერეთ ზემოთა, სა-
სოფლო მეურნეობის სახალხო საბოლოვო შეუ-
ძლებელია და უნდა დაეცეს, და წავა წარმატებაში
მხოლოდ დიდი შეძლების პატრონთა მეურნეობა,
რომელიც მოუღებს ბოლოს წვრილ მეურნეობას
და მამულების პატრონს.

301.19
3981

ფასი ერთი აბაზი

იბეჭდებიან და ჩქარა გამოვლენ:

შემდეგი წიგნები:

1, ქალების განთავისუფლება დეონ სტორტმილისა.

2, გეკსლოს ლექციები დარვინის ტეორიაზე.

3, მუშა ხალხის მდგომარეობა საქართველოში. წიგნი პირველი.

4, მიხაილოვის «სოციალიზმი» გარდმოკეთებული. წიგნი პირველი.

301.19
03 981

იბეჭდება შემდეგი წიგნები:

1) თხუზულებანი, თ. რაფ. ერისთავისა, რომლის პირველი წიგნი გამოვა მალე.
2) ქართული კალენდარი, 1882 წლისა. ჩარკვიანის სტამბის გამოცემა.
3) თამარ მეფის ისტორია.
4) სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი. გამოცემა ალექსანდრე ეპისკოპოზისა.
5) თამარ ბატონიშვილი, რომანი გრ. რჩეულოვისა.

,,გრ. ჩარკვიანისა და ამხანაგ წიგნის მაგაზიაში'' ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები; ქალაქს გარეშე მცხოვრებთ პირთ შეუძლიან დაიბარონ ამ ადრესით:

Въ Тифлисъ, въ Книжный Магазинъ Гр. Чарквіани и К°.